

# შპს ესენელ გრუპ

## ფინანსური ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

## სარჩევი

|                                                                        |    |
|------------------------------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                               | 3  |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება .....             | 4  |
| კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....                                   | 4  |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....              | 5  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია.....                                              | 5  |
| 2. მომზადების საფუძველი.....                                           | 5  |
| 3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები.....                            | 6  |
| 4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....         | 6  |
| 5. ფული და ფულის ექვივალენტები.....                                    | 9  |
| 6. სავაჭრო მოთხოვნები.....                                             | 9  |
| 7. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები.....                             | 9  |
| 8. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.. | 10 |
| 9. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                          | 10 |
| 10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....                     | 11 |

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| აქტივები                                | შენიშვნა | 31-12-2024       | 31-12-2023       | 31-12-2022       |
|-----------------------------------------|----------|------------------|------------------|------------------|
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>            |          |                  |                  |                  |
| ფული და ფულის ექვივალენტები             | 5        | 292,720          | 25,091           | 88,946           |
| სავაჭრო მოთხოვნები                      | 6        | 2,936,786        | 2,495,638        | 760,064          |
| გაცემული ავანსები                       |          | -                | 4,818            | 33,059           |
| სხვა მიმდინარე აქტივები                 |          | 10,650           | 7,855            | 6,413            |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>        |          | <b>3,240,156</b> | <b>2,533,402</b> | <b>888,482</b>   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>            |          |                  |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                    |          | 123,020          | 144,616          | 106,228          |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>        |          | <b>123,020</b>   | <b>144,616</b>   | <b>106,228</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                     |          | <b>3,363,176</b> | <b>2,678,018</b> | <b>994,710</b>   |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>        |          |                  |                  |                  |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>       |          |                  |                  |                  |
| სავაჭრო ვალდებულებები                   |          | 53,557           | 36,987           | 69,593           |
| გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი |          | 127,193          | 152,391          | 4,845            |
| მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები      | 7        | 1,957,854        | 2,246,117        | 927,437          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>   |          | <b>2,138,604</b> | <b>2,435,495</b> | <b>1,001,875</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                |          | <b>2,138,604</b> | <b>2,435,495</b> | <b>1,001,875</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                |          |                  |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                      |          | 508              | 508              | 508              |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი             |          | 1,224,064        | 242,015          | (7,673)          |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>            |          | <b>1,224,572</b> | <b>242,523</b>   | <b>(7,165)</b>   |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>    |          | <b>3,363,176</b> | <b>2,678,018</b> | <b>994,710</b>   |

დირექტორი---------- ალიაკსანდრ ბიალოტსკი

## მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                         | შენიშვნა | 2024             | 2023           |
|-----------------------------------------|----------|------------------|----------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                | 8        | 3,862,266        | 3,767,622      |
| რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება | 8        | (2,514,036)      | (2,910,582)    |
| <b>საერთო მოგება</b>                    |          | <b>1,348,230</b> | <b>857,040</b> |
| ხელფასები და სხვა სარგებელი             |          | (273,815)        | (242,368)      |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები       |          | (56,119)         | (186,335)      |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი           |          | (40,284)         | (29,686)       |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                |          | <b>978,012</b>   | <b>398,651</b> |
| საპროცენტო ხარჯი                        |          | (27,339)         | (41,358)       |
| მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან    |          | 31,444           | (107,545)      |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>               |          | <b>982,117</b>   | <b>249,748</b> |
| მოგების გადასახადი                      |          | (68)             | (60)           |
| <b>წმინდა მოგება</b>                    |          | <b>982,049</b>   | <b>249,688</b> |

## კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

|                              | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ კაპიტალი |
|------------------------------|-----------------------|-------------------------|--------------|
| ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი    | 508                   | (7,673)                 | (7,165)      |
| წმინდა მოგება                | -                     | 249,688                 | 249,688      |
| ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი | 508                   | 242,015                 | 242,523      |
| წმინდა მოგება                | -                     | 982,049                 | 982,049      |
| ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი | 508                   | 1,224,064               | 1,224,572    |

## ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ესენელ გრუპ დაფუძნდა 2022 წელს და რეგისტრირებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ, IV კვ. კორპ. N2, საცხოვრებელი ფართი N76. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405520431. კომპანიის დამფუძნებელი და 100%-ანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება DANCOSOFT j.d.o.o., 081129785 /ხორვატია/.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკონსულტაციო საქმიანობა კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - ალიაკსანდრ ბიალოტსკი, 3140789K017PB0, KH2945617 /ბელარუსი/, ერთპიროვნული.

### 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

### 3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები

ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

### 4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

#### 4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

|                        | საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი |        |
|------------------------|----------------------------------------------|--------|
|                        | აშშ დოლარი                                   | ევრო   |
| 2024 წლის 31 დეკემბერი | 2.8068                                       | 2.9306 |
| 2023 წლის 31 დეკემბერი | 2.6894                                       | 2.9753 |

#### 4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო

მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

| ჯგუფი                   | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|-------------------------|-------------------------------------|
| ოფისის აღჭურვილობა      | 5                                   |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 4-8                                 |

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

### 4.3 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. 2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა

განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებაზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

#### 4.4 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

#### 4.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა

გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

#### 4.6 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

### 5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე.

| ფული და ფულის ექვივალენტები     | 31-12-24       | 31-12-23      |
|---------------------------------|----------------|---------------|
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 448            | -             |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | 292,272        | 25,091        |
| <b>სულ</b>                      | <b>292,720</b> | <b>25,091</b> |

### 6. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც კომპანიამ გაუწია მომსახურება და რომელთაგანაც მომსახურების თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით.

**2024 და 2023 წლების ბოლოს რაოდენობამ შეადგინა 3-3 არარეზიდენტი დებიტორი.**

### 7. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები დაკავშირებულია არარეზიდენტი კომპანიებისგან, ვალუტაში აღებული სესხებთან.

მათი ჩაშლა 2024 და 2023 წლის ბოლოსათვის შემდეგია:

| მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები            | 2024             | 2023             |
|-----------------------------------------------|------------------|------------------|
| სესხი ევროში                                  | 399,438          | 752,886          |
| სესხი აშშ დოლარში                             | 1,558,416        | 1,493,231        |
| <b>სულ მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები</b> | <b>1,957,854</b> | <b>2,246,117</b> |

## 8. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

დარიცხული შემოსავალი და გაწეული მომსახურების თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

| საერთო მოგების გაანგარიშება             | 2024        | 2023        |
|-----------------------------------------|-------------|-------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                | 3,862,266   | 3,767,622   |
| თვითღირებულება:                         | (2,514,036) | (2,910,582) |
| პირდაპირი ხელფასი                       | (2,010,259) | (2,338,955) |
| რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება | (503,777)   | (571,627)   |
| საერთო მოგება                           | 1,348,230   | 857,040     |

## 9. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

9.1 2024 წელს მენეჯმენტის კომპენსაციამ შეადგინა 13,737 ლარი, ხოლო 2023 წელს 72,298 ლარი.

9.2 2024 და 2023 წლის ბოლოს, კომპანიას ჰქონდა დამფუძნებლისგან აღებული სესხი რომლის ნაშთებიც გამოიყურება შემდეგნაირად:

| სესხები                                     | 31-12-24 | 31-12-23 |
|---------------------------------------------|----------|----------|
| დამფუძნებლის მიმართ გადასახდელი პროცენტი    | 16,177   | 16,473   |
| დამფუძნებლისგან მიღებული სესხები            | 351,672  | 357,036  |
| სულ დამფუძნებლის მიმართ სასესხო ვალდებულება | 367,849  | 373,509  |

9.3 სხვა დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების ნაშთები 2024 და 2023 წლების ბოლოს მოცემულია ცხრილში:

| სესხები                                                   | 31-12-24  | 31-12-23  |
|-----------------------------------------------------------|-----------|-----------|
| სხვა დაკავშირებული პირების მიმართ გადასახდელი პროცენტი    | 57,997    | 29,851    |
| სხვა დაკავშირებული პირებისგან მიღებული სესხი              | 1,532,008 | 1,842,757 |
| სულ სხვა დაკავშირებული პირების მიმართ სასესხო ვალდებულება | 1,590,005 | 1,872,608 |

9.4 სხვა დაკავშირებული პირებისგან მისაღები დებიტორული დავალიანებები 2024 და 2023 წლებში იყო 2,931,734 და 2,472,883 ლარი.

**9.5** სხვა დაკავშირებულ პირებზე გაწეულმა მომსახურებამ 2024 წელს შეადგინა 3,802,042 ლარი ხოლო 2023 წელს 3,628,295 ლარი

## 10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საბაზრო პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შპს ესენელ გრუპ-სა და ორ კლიენტ კომპანიას შორის, მიღწეულ იქნა შეთანხმება მარჟის 12.5%-მდე გაზრდაზე. შეთანხმებიდან გამომდინარე, 2025 წლის 4 მარტს მხარეებს შორის გაფორმდა დებიტნოტები და გაიზარდა 2022 - 2023 წლებში გაწეული მომსახურებების ღირებულებები. ცვლილება 2022 წელს იყო 654,130 ხოლო 2023 წელს 1,554,237 ლარი. აღნიშული თანხები ასახულია ფინანსური მდგომარეობის და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებების შესაბამის მუხლებში.